# სამშობლო

პარასკევი 25 სექტემბერი.

წელიწადი I.

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 184 — ყოველდღიური სასოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — № 184

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
თრივ ტკბილია ძმობილო, მიიჩვენის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა."

ტელეფონი № 76.

სასოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „სამშობლო"

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გაზეთი ღირს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო".

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.



გადადებული 15 ივლისიდან, ნახევარი წლის თავის წირვა და პანაშვიდი ომში მოკლულის პოდპოლკოვნიკის

ვლადიმერ ტარასის ძის ახვლედიანის

სულის მოსახსენებლათ დანიშნულია ხუთშაბათს, 24 სეკტემბერს, ლეჩხუმის მაზრაში სოფ. ნასპერს, ადგილობრივ ეკლესიაში, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მშობლები ტარასი გრიგოლის ძე და კესარია თომას ასული ახვლედიანები. 2—2—2049

ბრძოლის ველზე მოკლული იქნა მე-403 ე ქვეითა ვოლსკის პოლკის უფროსი პოდპოლკოვნიკი

თ-დი ლევან გრიგოლის ძე მიქელაძე.

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, მეუღლე მისი კნეინა ეკატერინა (კატო) მერაბის ასული, თავისი პატარა ვაჟით ალმასხანით და დაი მისი ნადე კანდელაკისა, რომ უკანასკნელი გამოთხოვებისა და დაკრძალვის დღე დანიშნული არის 27 ამ თვეს, დღით კვირას, დილის 9 საათზე, სოფელ კულაშს, თავის სახლში. 2—1—2085

ღრმათ დამწუხრებულნი მამა მიხეილ ივანეს ძე, დედა ელუქსი დავითის ასული, მეუღლე მატილდა ქრისტიანის ასული, დები სონია კუპაიძისა და ფაცია ადამიასი, ძმები: ლენტორ და ისიდორე გოგოლაშვილები, სიძეები: დომენტი ოქროპირის ძე კუპაძე და თეოფანე ბეგლარის ძე ადამია აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას დაუვიწყარ

ვლადიმერ (ლადიკო) მიხეილის ძის გოგოლაშვილსა.

დაკრძალვა მოხდება პარასკევს 25 ეკენისთვეს ს. საწულიკიძეოში. 2—2—

ღრმათ დამწუხრებულნი კნეინა პასიკო სოფრომის ასული და თავადნი ვალერიან და სიმონ მელქისედეკის ძენი ნიჟარაძენი, გულითადის მწუხარებით გაუწყებთ რა გარდაცვალებას, პირველი უსაყვარლესის მეუღლისა და დანარჩენები ძვირფასი მამის

თავადის მელქისედეკ დიმიტრის ძის ნიჟარაძისას,

რომლის უკანასკნელი გამოთხოვების დღე დანიშნულია კვირას, 27 ენკენისთვეს, ნაშუადღევის სამ საათზე, გადასვენებათ, სოფელ მაღლაკში; უმორჩილესად გთხოვთ ნათესავთ, ნაცნობთა და მეგობრებს მობრძანდენ და გვანუგეშონ მწუხარებასა შინა მყოფნი ჭირისუფალნი. 2—1—2082

თ-დი ანტონ ტარიელის ძე და მეუღლე მისი დესპინე ფირანის ასული ხიდირბეგიშვილები, შვილები მათი: სიმონ მეუღლით დომნა ვლადიმერის ასული ხიდირბეგიშვილისა, ვიკტორ და ალექსანდრე, ბიძა თ-დი ედიშერ ტარიელის ძე ხიდირბეგიშვილი, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ სამშაბათს, 29 ენკენისთვეს, შორაპნის მაზრის სოფელ ღვანკითში, ადგილობრივ ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი გერმანიის საზღვარზე გმირულად მოკლულის პოდპორუჩიკის

არჩილ ანტონის ძის ხიდირბეგიშვილის

სულის მოსახსენებლათ. 1—1—2050

შაბათს, 26 სექტემბერს, საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის ნადვორნი სოვეტნიკის

ვარლამ ლუარსაბის ძის გოცირიძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ განსვენებულის ქვრივი ანნა ფილიპეს ასული და შვილები მისი: ემელიანე, ნიკოლ, თამარა, ნიდო, მაია და ვენია. 1—1—2083

ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობა აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ 22 ეკენისთვეს გარდაიცვალა საზოგადოების ბუხგალტერი

ვლადიმერ მიხეილის ძე გოგოლაშვილი.

დაკრძალვა დანიშნულია პარასკევს, 25 ეკენისთვეს ს. საწულუკიძეოში. 2—2

პარასკევს, 25 სექტემბერს, სოფ. მაღლაკში დანიშნულია ორმოცი დღის გამოტირილი (მ-საათზე) ტრაგიკულად გადაცვალებულის

კნ. გოგოლა ნიჟარაძის ასულისა,

რასაც აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ განსვენებულის დედა კნ. დაფინ ნიჟარაძისა და დები, მინადორა ლოლაბერიძისა, კნ. ფედოსი და კნ. ვასასი (ვაჟია) აბაშიძისანი. 1—1—1084.

ელექტრო „რადიუმი" თეატრი

ხუთშაბათიდან, 24 სეკტემბრიდან, ახალი საუცხოვო პროგრამა.

პათე ჟურნალი. მიმდინარე საქმეები.

სენსაცია! ნოვდესკის!

ტაბორის ქალიშვილი, თავისუფლების ბავში.

მხატვრული დრამა 3 ნაწილათ. ცნობილი მსახიობი ქალის ევა ტომსენის მონაწ.

მხიარული კომედია რქები 200000 მანეთად. ორ ნაწილათ.

ანონსი: ამ დღეებში ნაჩვენები იქნება ჯერ არ დადგმული სურათი, განსაკუთრებით მოზრდილთათვის ლეონ დრეი ქალების გულის მომხიბვლელი. ს. იუშკევიჩის მოთხრობიდან.

„სინათლის" საზოგადოების დედათა ქართულ სასწავლებელში მისაღები გამოცდები სწარმოებს ყოველ დღე დილის რვა საათიდან თორმეტამდი.

თფილისის ქუჩა, გ. მეიფარიანის სახლი. თ.

საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ გავხსენით სააგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოებისა „რუსეთი" („როსსია"), სადაც შეიძლება დაზღვევა სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევებისაგან.

პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდენ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვევონ თავი. ტელეფონი № 26

წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.

თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა დავით სიმონის ძე ლოლობერიძე.

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ-დი დ. ო. ნიჟარაძე

პატივისცემით აცხადებს, რომ 27 სექტემბერს ამა 1915 წელს, დილის 10 საათზედ, დანიშნული არის ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა

საგანგებო კრება

ამოსარჩევათ 8 ამომრჩევლების სახელმწიფო სათათბიროში და სხვა რამოდენიმე საყურადღებო კითხვების განსახილველათ. 6—4


## ომი

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

### კავკასიის ასპარეზი.

**თფილისი.** 23 ეკენ. ზღვის ნაპირა რაიონში, ხოპის სამხრეთ დასავლეთით, მხოლოდ მოწინავე ნაწილებს შორის წვრილი შეტაკებები ხდება. ტორტუმის ტბის სამხრეთ აღმოსავლეთით სოფელ კოგიკასა და არტოსტის შუა მდებარე ფრონტზე, ხორსანის ჩრდილოეთ დასავლეთით 21 ეკენ. დაბინდებისას ოსმალები შეეცადენ წინწამოწევას, მაგრამ შეჩერებულ იქნენ ჩვენის არტილერიის ცეცხლით. ხორსანის სამხრეთით, სოფელ კურფის ახლოს, რამდენიმე შეტაკება მოხდა ოსმალთა მოწინავე ჯარების ნაწილებთან.

### აღმოსავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 23 ეკენ. ოფიციალური. უმაღლესი მთავარ სარდლის შტაბისაგან, იაკობშტატის რაიონში დასავლეთის ფრონტზე ჩვეულებრივი საარტილერიო სროლაა. სროლა უფრო გაძლიერდა იაკობშტადტის სამხრეთ დასავლეთით. აქ გერმანელები არტილერიის ცეცხლს ცარგრადის რაიონს უშენდენ. დვინსკის ფრონტის რაიონში საარტილერიო ბრძოლა არ შეწყვეტილა. საყარაულო ხაზის სამხრეთით მდებარე რაიონში მტერი გამოდევნილ იქნა, ბატონ ზაგაჩის ეზოში გაკებულ თხრილებიდან. ნაროჩის ტბისა და ვიშნევსკის შუა მტერი შევავიწროვეთ. გერმანელების უკან დევნის დროს ჩვენმა ჯარმა დაიკავა ამბრამიუშჩიზნი. ვორმოვილინის ახალშენი და სოფ. მინკი სმორგონის ჩრდილოეთით ჩვენ დავიკავეთ. სამხრეთით პრიპიატამდი არსებითი ცვლილება არ მომხდარა. მტერი შეეცადა სტოხოდის სათავეს ხელში ჩაგდებას, ცდილობდა აგრეთვე სოფელ პოქორის ხელში ჩაგდებასაც, რისთვისაც იერიშები მოიტანა და წინასწარ გააძლიერა არტილერიის ცეცხლი, მაგრამ მტრის იერიში მოვიგერეთ. ჩარტორიისკის სამხრეთ დასავლეთით მტერი სოფელ ნოვოსელკისკენ გავსდევნეთ. ამასთანავე ტყვეთ წამოვიყვანეთ 150 ჯარის კაცი და ერთი ტყვიის მტყორცნელი. კოლკის აღმოსავლეთით კრასნოვოლიასა და კოჩიშჩეს რაიონში მტრის ნაწილებთან რამდენიმე შეტაკება გვქონდა.

### ბულგარეთის პასუხი.

**სოფია.** 22 ეკ. ბულგარეთის მთავრობამ რუსეთის ულტიმატუმი არ დააკმაყოფილა. ულტიმატუმი ჩააბარეს 2 საათსა და 40 წუთზე. რუსეთის ელჩმა სავინსკიმ აცნობა მინისტრ პრეზიდენტს რადოსლავოვს, რომ ბულგარეთსა და რუსეთს შორის დიპლომატიური მოლაპარაკება შეწყვეტილია. რუსეთის ქვეშევრდომთა ინტერესების დაცვა დაევალა ნიდერლანდიის რწმუნებულს.

**ტოკიო.** 23 ეკენ. გერმანელ ტყვეებისადმი მკაცრი მოპყრობა გამოწვეული იყო კუვუმში სამხედრო რაზმის ამბოხებით. მშვიდობიანობა აღდგენილია. ფორმოზის სასამართლომ 1026 უცხოელი გაასამართლა ამბოხების მოხდენის ცდისათვის. სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს 505 კაცს.

**ათინა.** 22 ეკენ. დღეს ვენეზილოსი მიიღო მეფემ, რომელმაც განუცხადა, რომ მას არ შეუძლია გაყვეს იმ პოლიტიკას,

რომელსაც დღეს კაბინეტი აწარმოებს. ვენიზელოსი სამსახურიდან გადადგა.

**პარიზი.** 22 ეკენ. სოლუნში ჯარის გადასხმის შესახებ გავასის სააგენტო იტყობინება, რომ მოკავშირეთა სახელმწიფოების მთავრობებმა რამდენსიმე დღის წინ უკვე მიიღეს გარკვეული გადაწყვეტილება და შესაფერი განკარგულებაც მოახდინეს. ამის შესახებ წინასწარ მოლაპარიკება იყო გამართული საბერძნეთის მთავრობასთან, რომელმაც, როგორც ნეიტრალურმა სახელმწიფომ, პროტესტი განაცხადა, მიუხედავათ ამისა, საფრანგეთის აფიცრებმა დაუბრკოლებლათ გადასხეს ჯარი.

**პარიზი.** 23 ეკენ. დირიჟაბლი ალზასი, რომელიც 19 ეკენ. გაფრინდა მტრის პოზიციებზე ყუმბარების სასროლათ, აღარ დაბრუნებულა. გერმანიის წყაროებიდან ცნობაა, ვითომც დირიჟაბლი რეტელის ახლოს ჩამოეშვა და კამანდა ტყვეთ წაყვანილიაო. 21 ეკენისთვეს გერმანიის ცეპელინი შჩოლორნოს თავზე გამოჩნდა, რამდენიმე ყუმბარა გადმოაგდო და ნივთიერათ ქალაქი დააზიანა.

**კოპენჰაგენი.** 22 ეკენ. ბორნგალმის ნაპირას სამი ნაღმი მოცურდა ერთი მათგანი აფეთქდა.

### დასავლეთის ასპარეზი.

**პარიზი.** 22 ეკენ. საღამოს ოფიცალური ცნობა, არასის აღმოსავლეთით ს. კართან ძლიერი საარტილერიო სროლა სწარმოებდა. ლიგონ—ანდეშის სექტრებში სასანგრო, ბრძოლა გრძელდება ხელით სასროლ ყუმბარებით. შამპანში მტერი კვლავინდებურათ ხმარობს სულის შემხუთავ გაზიან ყუმბარებს. ჩვენი არტილერია ენერგიულათ უპასუხებს, ესვრის რა ყუმბარებს გერმანელების თხრილებსა და საველე სიმაგრეებს, არგონებში, უიეტპარჟის სექტორსა და აპრემონის ტყეში თითქმის განუწყვეტელი საარტილერიო სროლაა. ასეთივე სროლაა ლოტარინგიაში მონსელისა და არაკურის ახლოს. 21 ეკენ. საღამოთი მტერი შეეცადა მოულოდნელი თავდასხმით ხელში ჩაეგდო ჩვენი პოზიცია ორბეის აღმოსავლეთით ვოგეზებში, მაგრამ ცდამ უნაყოფოთ ჩაიარა.

**გავრი.** 22 ეკენ. ბელგიის ცნობაა, ჩვენს ფრონტზე მტერი არტილერიის სუსტი ცეცხლით მოქმედებდა.

**ლონდონი.** 21 ეკენ. როტშილდის თავჯდომარეობით გავლენიან ებრაელებისაგან დაარსდა კომიტეტი ომისაგან დაზარალებულ რუს ებრაელთა დასახმარებლათ ფონდის გასაძლიერებლათ. აღნიშნულ ფონდისათვის უკვე შემოვიდა რამდენიმე შემოწირულობა. თითოეულმა შემოსწირა 500—500 გირ. სტერლინგამდი.

## ომის ამბები.

თანდათან მართლდება მოსაზრება, რომ ამ ჟამად აღმოსავლეთის ასპარეზით ჯარების ახალი გადაჯგუფება ხდება. გარდა კერძო შეტაკებისა, დეპეშების ცნობებიდან არა სჩანს, რომ სადმე, რომელიმე რაიონში გერმანელები ფართო ოპერაციას აწარმოებდნენ. არც იმის ნიშნებია, რომ ბრძოლას საპოზიციო ხასიათი მიეღოს, რადგანაც იმავე კერძო შეტაკებიდან და აგრეთვე დეპეშები გაკვრით მოხსენებულ ზოგიერთ ცნობებიდან ცხადათ სჩანს, რომ გერმანელები რაღაც ახალ ფართო შეტევისათვის ემზადებიან. მაგალ. გუშინდელ დეპეშის ცნობით სმორგონს რაიონით, როვნოს სამხრეთით და ზემო ნემანით, დელიატიჩთან (მდ. ნემანზეა, ნოვოგრუდოკის ჩრდილო-აღმოსავლეთით 20—22 ვერსით) გერმანელების ჯარი აღმოსავლეთისაკენ იწევსო. ამ რაიონებში შეუწყვეტლივ მცირე შეტაკებანი ხდებაო (СТЫЧКА). ბოლო დროს არავითარი ცნობა არ მოდიოდა დუბნოკრემენეცის ხაზის შესახებ, რომელიც დასავლეთის მხრით ჰფარავს როვნოს რაიონს. არ არის ცნობები აგრეთვე დვინსკის შესახებ.

ვილნას რაიონში მომხდარ კრიზისის შემდეგ, როდესაც რუსის ჯარის ნაწილი არა ხელსაყრელ მდგომარეობაში ჩავარდა, გარემოება ბოლო დროს შეიცვალა. შორს შემოჭრილი გერმანელების ჯარი ვილეიკა-პოლოცკის შუა, ეხლა უკუქცეულია და მხოლოდ ეხლა დამთავრდა აღნიშნული კრიზისი. გერმანელების ჯარი მინსკს დაშორდა 90 ვერსამდე და წინად კი მინსკთან მხოლოდ 40—45 ვერსით იყო დაშორებული. აგრეთვე წინად გერმანელების ჯარი გლუბოკოემდე იყო შემოჭრილი, ასე რომ ვილეიკა-პოლოცკის რკინის გზას იგი აქ 10—12 ვერსით დაუახლოვდა, ეხლა კი გერმანელების ჯარი იმავე რკინის გზას დაშორებულია არა ნაკლებ 20—25 ვერსით, (ნაროჩის ტბის სამხრეთ პირიდან სადგურ კრივიჩამდე—25 ვერსია). სამაგიეროთ ცენტრის სამხრეთი წვერის რაიონით დუბნო-როვნოს რაიონით ავსტრიელები გერმანელებთან ერთად ფართო შეტევას აწარმოებენ. ბრძოლის პირის საერთო მოხაზულობა შედარებით გასწორდა და უწინ კი ყოველთვის გერმანელების წვერები წინ იყო წამოწეული, რაიც აიძულებდა რუსის ჯარის ცენტრს ნელ ნელა, მაგრამ თითქმის შეუჩერებლივ აღმოსავლეთისაკენ დაეხია. —აწ დამყარებულ მდგომარეობის მიზეზი სწორედ დვინსკის და პინსკ-როვნოს რაიონებში უნდა ვეძიოთ. სწორედ ამიტომ მოსალოდნელია, რომ გერმანელები კვლავ მკაცრად შეუტევენ დვინსკს და დუბნოროვნოს რაიონს, და უახლოესი მნიშვნელოვანი შეტაკებანი სწორედ ამ ორს რაიონშია მოსალოდნელი. იქნებ სწორედ ამ მოსაზრებით გერმანელები ჯარების ახალ შეჯგუფებას შეუდგნენ.

„ს. ფ."

### გადაასახლეს.

პეტროგრადში აგვისტოს დამლევს დატუსაღებული პუტილოვის მუშების საავათმყოფო კასის—მოსამსახურე პირი ციხიდან გაანთავისუფლეს, მხოლოთ პეტროგრადში ცხოვრების ნება არ მისცეს.

(რ. ვ.)

### თ. შახოვსკოის განცხადება.

ვაჭრობა—მრეწველობის მინისტრმა თ. შახოვსკოიმ სახელ. სათათბიროს წევრებს სხვათა შორის განუცხადა: კავკასიას იმედი არ უნდა ქონდეს, რომ იგი „დაცლილ" ქალაქებიდან ახლად გადმოტანილ პოლიტეხნიკუმიდან რომელიმეს მიიღებს.

### ინგლისი და ბულგარეთი.

ინგლისის პარლამენტში, ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრმა, დიპლომატობით სახელ განთქმულმა ედუარდ გრეიმ ბულგარეთის ახალ გამოსვლის გამო შემდეგი სთქვა:

„ინგლისი არა თუ არავითარ მტრობას არა გრძნობს ბულგარეთის მიმართ, არამედ პირ იქით იგი მისი ტრადიციული მოყვარეა. ამიტომ მანამ ვიდრე ბრიტანეთი ბულგარეთის ხალხის საზიანო ზედგავლენას ვერ მოახდენს, ვიდრე ინგლისისა და მისი მოკავშირეების ტრების მხარეზე აშკარათ არ დადგარა; ვიდრე მისი მდგომარეობა აგრესიულ ხასიათს არ მიიღებს და ინგლისთან მეგობრულ განწყობილებას არ დაარღვევს. . . . . და თუ დავინახავთ, რომ ყველაფერი ეს ჩაიშალა და ბულგარეთმა ჩვენს მტრებს ხელი აშკარათ გაუწოდა, მაშინ ინგლისი ეცდება თავის მოკავშირეებს შესაფერი დახმარება მისცეს, მისცეს ისეთი ფორმა, როგორიც საქმის ვითარებას შეეფერება და მოკავშირეების მოქმედებასთან შეთანხმებული იქნება. . . . . . . . . . . . . .

დღემდე ინგლისის პოლიტიკა ბალკანეთში იმის ცდაში იყო, რომ იქაურ სახელმწიფოთა შორის თანხმობა და მშვიდობა ჩამოეგდო, რომ ისინი არა თუ მარტო პოლიტიკურათ დამოუკიდებელნი დარჩენილ იყვნენ, არამედ ბრწყინვალე მომავალსაც ღირსებოდენ „მონათესავე ხალხების ტერიტორიალურ და პოლიტიკურ (უნიის) შეკავშირების პრინციპის ნიადაგზე." ამის მისაღწევათ ინგლისმა საჭიროთ სცნო რომ ბალკანეთის თვითოეულ სახელმწიფოს თავისი ისტორიულ-კანონიერ მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილება მიეღო.

გერმანიის პოლიტიკას კი სწორეთ ამის საწინააღმდეგო მიზანი აქვს დასახული. მისი ინტერესია ბალკანეთის სახელმწიფოთა შორის უთანხმოება და შუღლი ჩამოაგდოს, ომი გააჩაღოს. ამიტომ იყო, რომ გერმანიამ ავსტრიასა და სერბიას შორის ჩამოვარდნილი უსიამოვნება გაადვივა და მერე მთელი ევროპის საშინელობათაც გადააქცია; ამ გარემოებამ მას მთელი ავსტრია-უნგრეთის მიმართ დაუქვემდებარა - დაუმორჩილა. ოსმალეთიც მან ჩაითრია ომში, რითაც ბერლინსა და ბაღდად შუა მდებარე მთელ სივრცეზე თავისი გავლენა უზრუნველჰყო. ახლა ეს მდგომარეობა რომ განამტკიცოს, ამისთვის იგი ბზათაა ბალკანეთის რომელიმე სახელმწიფოს დაუკავშირდეს და მისი საშუალებით თავისი პლანი სავსებით განახორციელოს. ამის პირდაპირი შედეგი მასთან დაკავშირებულ ბალკანეთის რომელიმე სახელმწიფოს დამოუკიდებლობის დაკარგვა იქნებოდა, თუნდაც რომ ამ სახელმწიფომ მისგან ვრცელი ტერიტორიალური დაკმაყოფილება რომ მიიღოს."

(დ.)

### საერთო შეტევის შემდეგ.

როგორც ჰავრიდან გაზეთებს აუწყებენ, ბელგიაში ნემცების სამხედრო მოქმედება დუღს: გადმოყავთ სათადარიგო რაზმები, არტილერია, გადმოაქვთ აურაცხელი სამხედრო მასალები. სიმაგრეებს კიდევ უფრო ამაგრებენ, იღებენ უსასტიკესს ზომებს იმ შემთხვევისთვის, თუ ვინიცობა ბელგიელნი აჯანყდენ, ვინაიდან მცხოვრებნი მოკავშირეების საერთო შეტევის დაწყების გამო სიხარულს გამოსთქვამენ.

— ინგლისის მფრინავმა ბელგიის ციხე-ქალაქში, ლიეჟში, ჰაეროპლანიდან გაზეთები ჩამოყარა, რომელშიაც მოთავსებული იყო მოკავშირეების გამარჯვების ამბები საფრანგეთის ფრონტზე და აგრეთვე მოწოდება ხალხისადმი, რომ გამაგრდენ და განთავისუფლებას ელოდონ.

— კოპენჰაგენის კორესპონდენტი გაზეთებს აუწყებს, რომ გერმანიის ს. დ. ცნობილმა წინამძღოლებმა: შეიდემანმა, დავიდმა და ებერტმა საფრანგეთის ბრძოლის პირი დაათვალიერეს და ბელგიისა და საფრანგეთის დაკავებული ადგილები ინახულეს. სხვათა შორის იყვნენ მთავარ სარდლის ბანაკში და ბელგიის გენერალ-გუბერნატორთან ბრიუსელში. როგორც სარდალმა, ისე გუბერნატორმა მათ გააცნო მრეწველობის და ვაჭრობის ადგილობრივი აწინდელი მდგომარეობა და შრომის პირობები.

(რ. ვ.)

### რუსეთის ფრონტზე.

მდგომარეობა დღეს ერთ წერტილზეა შეჩერებული. ჟურნალ "რუსკი ინვალიდის" სამხედრო მიმომხილველი შემდეგ დასკვნას აკეთებს: „სვენციანთან რუსის ჯარის ხაზის გარღვევა ახლა შესწორებულია; შედეგი უნაყოფო გამოდგა, რადგან სხვა ადგილებში გერმანელებს უკან დაახევინეს. ამნაირათ ვილჰელმის ლაშქარის მარცხენა ფრთამ აქტივობა დაკარგა. რაც შეეხება მისი ჯარების მარჯვენა ფრთას ვერც მან გამოაკეთა საქმე მას შემდეგ, რაც რუსის ჯარმა მას შესაფერი პასუხი მისცა; და რადგან მარცხენა და მარჯვენა ფრონტზე იყო ცენტრის წინ სვლა დამყარებული, ამიტომ ამ ფრთების მოქმედების შეჩერება შესუსტდა ცენტრიც ერთ ალაგას შეაჩერა".

(რ. ვ.)

### ულტიმატუმის შემდეგ.

როგორც ვიცით, ბულგარეთს რუსეთმა ულტიმატიური ნოტა წაუყენა; ახლა გაზეთებს აუწყებენ, რომ ასეთი ნოტა ბულგარეთმა ჯერ მხოლოთ რუსეთისგან მიიღო, მაგრამ როგორც კი მას უნაყოფოთ უპასუხებს, ოთხთა შეთანხმების ყველა დანარჩენი სახელმწიფოებიც სოფიიდან თავიანთ წარმომადგენლებს გაიწვევენო.

### დარდანელში.

გაზეთებს აუწყებენ, რომ მოკავშირეებმა დარდანელში გერმანიის ერთი წყალქვეშა ნავი ჩაძირესო.

### რუსეთის წინააღმდეგ.

დეპეშით ატყობინებენ, რომ დედეაგაჩი გერმანიის მეზღვაურებმა მეტათ გაამაგრეთ და ახლა ვარნასა და ბურგასში რუსების საწინააღმდეგო იერიშისათვის ემზადებიან.

### რუმინია.

რუმინიის ჯარის ერთი მთავარი ნაწილი, რომელსაც საიდუმლო ბრძანება აქვს ჩაბარებული, ბულგარეთის საზღვართან უკვე დგას. რუმინია ამ დღეებში გადამწყვეტ ნაბიჯს გადაადგამს.

### გერმანია-ბულგარეთის შეთანხმება.

სოფიის ერთმა ანტირუსულმა გაზეთმა „კამბანამ" საიდუმლო ხელშეკრულების პირობები მოათავსა. ამ პირობის ძალით ბულგარეთი ვალდებულია: გერმანიასთან შეთანხმებული თავს დაესხას სერბიას, და რკინის გზები დაუთმო გერმანიას; ხოლო გერმანია ამავე დროს ვალდებულია შეაჩეროს რუმინია, რომ ბულგარეთმა საბერძნეთის წინააღმდეგ მოქმედება თავისუფლათ შესძლოს: ამავე არმიის ძალით ბულგარეთის შავი ზღვის სანაპიროების დაცვას გერმანია კისრულობს.

### ხმები სერბიაზე გალაშქრებისა.

ბუქარესტიდან გაზეთებს ატყობინებენ: გერმანელთა ბატალიონმა იერიში მიიტანა სერბიის სემენდრევოზე, მაგრამ სერბიელებმა ის ამოწყვიტეს. აგრეთვე გერმანელთა ტრანსპორტი, რომელიც მდ დუნაიზე მიჰქონდათ, ჩაძირეს. სხვა ადგილებშიაც დაიწყო გერმანელების შემოსევა, მაგრამ ყველგან სერბიელებმა გაიმარჯვეს.

(თ. ფ.)

## ქრონიკა.

(ჟურნალ-გაზეთებიდან.)

### რუსეთი.

### საარჩევნო კრებები.

15 და 16 სექტემბერს პეტროგრადში ბევრ ქარხანა-ფაბრიკაში მუშების წინასწარი საარჩევნო კრებები გაიმართა. უნდა გამოერკვიათ საკითხი, თუ რა გზით და როგორ მიიღონ მუშებმა მონაწილეობა სამხედრო კომიტეტებში. კრება იყო გეისლერის, ფრანგ-რუსთა საზოგადოების, ლიფლონის, აივაზის, ნობელის და სხვების ქარხნებში. ყველგან კრება მრავალრიცხოვანი და წესიერადაც ჩატარდა. კითხვა, მიიღონ მუშებმა სამხედრო-სამრეწველო მობილიზაციაში მონაწილეობა თუ არა, როგორც პეტროგრადის გაზეთები გადმოგვცემენ, პეტროგრადის მუშების მხრით სრულიათ გამორკვეულათ უნდა ჩაითვალოს: **მუშები მონაწილეობას მიიღებენ არჩევნებში.** მუშებმა თავის მხრით სამხედრო-სამრეწველო ცენტრალურ კომიტეტის მიერ შემუშავებულ საარჩევნო სისტემაში თავის შესწორება შეიტანეს. ყველა ფაბრიკა-ქარხანაში აირჩიეს განსაკუთრებული კომისია, რომელსაც 21 სექტემბერს დანიშნულ არჩევნებისთვის ხელმძღვანელობა უნდა გაეწია. კრებებზე მუშებმა ის აზრი გამოთქვეს, რომ ეს კომისიები შემდეგისთვისაც დარჩეს და მუდმივი მნიშვნელობაც მიეცეს, რათა მუშათა ცხოვრების ყოველდღიურ კითხვებსაც ყურადღება მიაქციონ და მათ მოწესრიგებაში მონაწილეობა მიიღონ. ასეთი კითხვებია მაგალითად: გაძვირების საკითხი, შრომის პირობების გაუმჯობესება და სხვა...

კომისიაში თვითეულ სახელოსნოდან აირჩიეს თითო წარმომადგენელი. ამ კრებებზედვე დაასახელეს მუშათა მომავალი რწმუნებულები: ათას მუშაზე ერთი კაცი. მუშათა წარმომადგენლების რიცხვი იმაზე მეტი შედგება, რასაც სამხედრო ცენტრალური კომიტეტი ვარაუდობდა, რადგან სამხედრო ქარხნების მუშათა რიცხვი ამ ბოლო ხანებში ძალიან გადიდებულია.

### რადოსლავოვის კაბინეტი.

სოფიიდან კორესპონდენტი გაზეთებს აუწყებს, რომ სოფიაში ხმა ისმის, რომ რადოსლავოვის კაბინეტში ცვლილებას მოახდენენო. ფიქრობენ, რომ კაბინეტის შედგენილობა დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებით შეავსონო.

### კიევიდან იწევებიან:

კიევის სადგურიდან 300-მდე ზარი შეგროვდა თურმე, რომლებიც სამხრეთის მხრით სხვადასხვა „დაცლილ" ადგილებიდან აქ გადმოიტანეს.

როვნოს ერობა ქალაქში დაბრუნდა და სხდომები განაახლა. როვნოს „დაცლა" შეაჩერეს. ლუცკის ერობამ კი ლუცკის მაზრის რამდენიმე პუნქტში საეპიდემიო რაზმი გაგზავნა.

(რ. ვ.)

### სტრემოუხოვი.

თავრიდის სასახლეში ამ ბოლო დროს ძალიან ხშირათ ახსენებენ წინათ სარატოვის გუბერნატორათ და მერე რომანოვების საიუბილეო დღესასწაულების დროს კოსტრომის გუბერნატორათ დანიშნულს სტრემოუხოვს, რომელიც შინაგან საქმეთა მართვა-გამგეობაში დიდ უნარს იჩენს თურმე.

### სუხომლინოვის საქმე.

ყოფილ სამხედრო მინისტრის სუხომლინოვის საქმე უმაღლესათ დაწესებულ კომისიას უნდა გამოერკვია და თუ ყოფილი მინისტრი ბრალდებული აღმოჩნდებოდა, სამართალში უნდა მიეცა. კომისია კარგა ხანია გულმოდგინეთ მუშაობს ამ საქმეზე, აცხადებენ მთავრობის ორგანოები და გამოძიების [illegible] სრულებსო.

### პოლიციის გაძლიერება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელ. სათათბიროში რამდენიმე კანონპროექტი შეუტანია, რომლებიც იმპერიის ზოგ ადგილებში პოლიციის გაძლიერებას შეეხება.

(რ. ვ.)

### ალ. გუჩკოვს მიანდვეს.

სამხედრო-სამრეწველო ცენტრალურმა კომიტეტმა მსჯელობა იქონია ამას-წინათ როძიანკოს მიერ წარმოთქმულ სიტყვების შესახებ, რომლებიც გაზეთებში იყო მოყვანილი. რადგან სახელ. სათათბიროს თავმჯდომარის სიტყვები სამხედრო—სამრეწველო კომიტეტებს სახელს და ნდობას უკარგავს საზოგადოებაში, ამიტომ საჭიროთ მიიჩნიეს გამოარკვიონ და სისწორით გაიგონ, თუ რამდენათ შეიცავს სინამდვილეს გაზეთების ცნობა როძიანკოს მიერ გამოთქმულ სიტყვებზე და მის აზრზე. ამის გამორკვევა მიანდვეს ალ. გუჩკოვს.

(რ. ვ.)

### სიძვირის წინააღმდეგ.

პეტროგრადის გრადონაჩალნიკი აცხადებს, რომ სექტემბრიდან დაწყებული რაც ქალაქში შაქარს, ფქვილს და ერბოს შემოიტანენ, ყველა მის განკარგულებაში იქნება და მხმარებელთა შორის ბირჟის საშუალებით ტაქსის მიხედვით გაიყიდება.

## ქართული პრესა.

მეფის მოადგილის ჩამოსვლის გამო „თანამედ. აზრი" სწერს:

გუშინ კავკასიის დედა-ქალაქში ჩამობრძანდა ახლად დანიშნული კავკასიის მეფის მოადგილე დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე. ის ჩვენი საზოგადოებისათვის კარგათ ცნობილია. მსოფლიო ომმა ის საკმაოთ გააცნო არა მარტო რუსეთის საზოგადოებას, არამედ ევროპისასაც. მის ბიოგრაფიასთან ერთად შეკავშირებულია მთელი რუსეთის, მთელი კაცობრიობის ისტორიის ერთი ხანა. მისი სახელით გამოიცა პოლონეთის ხალხისადმი „ცნობილი მოწოდება" და მისივე სახელით ეს „მოწოდება" ცხოვრებაში.

მარა ამჟამათ ჩვენ ის გვაინტერესებს არა როგორც მთავარი სარდალი, არამედ როგორც „მოწოდების" ავტორი, არამედ როგორც კავკასიის უმაღლესი ადმინისტრატორი.

ბევრის აზრით, მეფის ძველი მოადგილის გადაყენებით და ახალის დანიშვნით, კავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებაში თითქოს ახალი ხანა იწყება. ზოგიერთი ჩვენი ნაციონალისტები კიდევ უფრო შორს მიდიან და თავის „ეროვნული იდეის" განხორციელებაზეც კი ოცნებობენ. მარა ყველა ეს ილიუზიაა და მეტი არაფერი.

გრაფის პოლიტიკა დაკავშირებული იყო ცენტრალური მთავრობის პოლიტიკასთან და მისგან არაფრით არ განსხვავდებოდა. შეიძლება ზოგიერთ შემთხვევაში მას განსხვავებული სახე ქონდა, მარა პოლიტიკას ქმნის მართვა გამგეობის საერთო ხაზი და არა წვრიმალი. ჩვენ ღრმათ დარწმუნებული ვართ, რომ ასეთივე იქნება დიდი მთავრის პოლიტიკაც;

პოლიტიკას სიმპატია-ანტიპატია არ სჭამს.

უველაფერი ეს, შეიძლება მართალიც იყოს, მაგრამ ერთი რამ ავიწყდებათ ჩვენ „ა ნაციონალისტებს", სახელდობრ ის, რომ [illegible] ბული. და სწორედ ამ [illegible] „სიმპატია-ანტიპატიას" შეუძლია ან ისე მმართოს განაპირა ქვეყნები, როგორც ეს იყო დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის დროს და ან ისე, როგორც ეს იყო გრაფ ვორონცოვ დაშკოვის დროს. ამ ორ მართვა გამგეობის შორის კი დიდი განსხვავებაა, თუმცა „სახელმწიფოებრივი პოლიტიკა" ორთავე მმართველისაგან ერთსა და იმავეს მოითხოვდა.

## მეფის მოადგილის ჩამოსვლა

23 სექტემბერს, დილის 11 საათზე, თფილისში ჩამობრძანდა მეფის მოადგილე კავკასიაში, დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე.

### სადგურზე.

ათ საათზე სადგურზე თავი მოიყარეს: მეფის მოადგილის თანაშემწემ ნ. ლ. პეტერსონმა, კავკასიის სამხედრო ოლქის მთავარმა უფროსმა ს. ვ. ვოლსკიმ, კავკასიის არმიის სარდალმა გენ. იუდენიჩმა, მეფის მოადგილის საბჭოს წევრებმა, თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილმა სამაზრო მარშლებით და დეპუტატებით, და ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თავ. დ. ო. ნიჟარაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამაზრო მარშლებით და დეპუტატებით, თბილისის გუბერნატორმა, თბილისის ქალაქის თავმა ა. ხატისოვმა და გამგეობის წევრებმა და სხვათა.

11 საათზედ დებარკადერს დიდი მთავრის მატარებელი მოადგა. სალონ-ვაგონში ავიდნენ თანაშემწე მოადგილისა პეტერსონი, კავკას. სამხედრო ოლქის მთავარი უფროსი გენ. ვოლსკი და კავკასიის არმიის შტაბის უფროსი გენ. ბოლხვიტინოვი. ათი წუთის შემდეგ ვაგონიდან გამობრძანდნენ: მათი იმპერატორებით უმაღლესობა დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მეუღლით მ. ი. უ. დიდი მთავრინა ანასტასია ნიკოლოზის ასულით, მ. ი. უ. დიდი მთავარი პეტრე ნიკოლოზის ძე მეუღლით, დიდი მთავრინა მილიცა ნიკოლოზის ასულით, მათი უმაღლესობა რომან პეტრეს ძე და მ. უ. კნიაგნა ნადეჟდა პეტროვნა და ამალა მათის იმპერატორობითი უმაღლესობისა.

ვაგონიდან გამოსვლისას მოადგილის თანაშემწემ პეტერსონმა დიდ მთავრინებს თაიგულები მიართვა. დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ საპატიო ყარაულს ჩამოუარა. რაპორტების მიღების შემდეგ დიდი მთავარი სადგურის დარბაზში შებრძანდა.

დარბაზში მარჯვენა მხარეს იდგნენ, მოადგილის საბჭოს წევრები, თავად-აზნაურთა წინამძღოლები, წარმომადგენელნი ქალაქისა, ვაჭრებისა და ხელოსნებისა. მოადგილის თანაშემწე პეტერსონმა დიდ მთავარს საბჭოს წევრნი და თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი თავ. დ. გ. ჩოლოყაშვილი წარუდგინა.

სიტყვა თავ. დ. გ. ჩოლოყაშვილისა.

თავ. ჩოლოყაშვილმა დიდ მთავარს შემდეგის სიტყვით მიმართა:

„თქვენო იმპერატორობითი უმაღლესობავ! თფილისის გუბერნიის ქართველ თავად-აზნაურთა სახელით მაქვს პატივი და ბედნიერება მივესალმო თქვენს მშვიდობით მობრძანებას საქართველოს ძველ სატახტო ქალაქში“.

დიდმა მთავარმა მადლობა გადაუხადა თავ. ჩოლოყაშვილს და ხელი ჩამოართვა.

შემდეგ თავ. დ. გ. ჩოლოყაშვილმა დიდ მთავარს ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. დ. ო. ნიჟარაძე და მაზრის მარშლები და დეპუტატები წარუდგინა. თავ. ჩოლოყაშვილმა დიდ მთავრებს თაიგულები მიართვა.

თავად-აზნაურობის შემდეგ დიდ მთავარს სიტყვით მიმართა თბილისის ქალაქის თავმა ა. ხატისოვმა.

ა. ხატისოვის სიტყვა.

„თქვენო იმპერატორობითი უმაღლესობავ! ძველ ქალაქ თბილისის ხალხი და თბილისის ქალაქის თვითმართველობა სიხარულით ეგებება, თქვენი იმპერატორობით უმაღლესობის და უავგუსტეს თქვენის მეუღლის კეთილად მობრძანებას, ჩვენი ქალაქის ხალხი, რომელიც თავს დიდ და განუყოფელ დედა—რუსეთის ღვიძლ შვილად სთვლის თავს, ერთი აზრით და სულით, ერთგული თავის მეფეებისა, თავს უკრავს მეფის მოადგილეს და სთხოვს იწამოს მისი გრძნობა მხურვალე ერთგულებისა მეორე სამამულიშვილო ომის სახელოვან გმირისადმი. თქვენო იმპერატორებით უმაღლესობავ! როგორც წარმომადგენელი ქალაქისა, უმორჩილესად გთხოვთ მიიღოთ თბილისის ხალხისგან მხურვალე სალამი, აღმომხდარი გულის სიღრმიდან და ჩვენი კავკასიური პურ-მარილი. მშვიდობა მობრძანებასა თქვენსა!“

ამასთან ქალაქის თავმა დიდ მთავარს პურ-მარილი მიართვა. დიდმა მთავარმა ქალაქის თავს მადლობა გადაუხადა.

11 საათსა და 30 წუთზე დიდმა მთავარმა ცხენზედ შებრძანება ისურვა და ამალისა და კონვოის თანხლებით ქალაქში გაემგზავრა. დიდი მთავრინები ავტომობილით მიბრძანდებოდნენ.

ქ ა ლ ა ქ შ ი.

ქუჩებზე, რომლითაც უნდა გაევლო დიდ მთავარს, ჩამწკრივებული იყო ჯარი და თფილისის ყველა მოსწავლეები. სადგურის წინ, ვოკზალის ქუჩის დასაწყისში აღმართული იყო კამარა, მორთული მატერიით, ბაირაღებით და ყვავილებით. სახლები მორთული იყო ნოხებით, ბაირაღებით და ყვავილებით. მთელ ქალაქს სადღესასწაულო იერი ჰქონდა. ქუჩები სავსე იყო ხალხით. შუა ბაზრის დასაწყისში აღმართული იყვნენ ობელისკები წარწერით: „ძველი თბილისი გიკრავთ თავს“.

სიონის ტაძარში.

12 საათსა და 30 წუთზე დიდი მთავარი სიონის ტაძარში მობრძანდა. აქ მის უმაღლესობას შემოსილი მიეგება საქართველოს ექსარხოსი, მაღალ-ყოვლად სამღვდელო პიტირიმი, ეპისკოპოსი ანტონი, და სიონის სამღვდელოება. მღვდელმსახურება შესრულდა ქართულსა და სლავიანურ ენაზე. გალობდა ორი გუნდი: ექსარხოსისა და ქართული. სიონის ტაძარში დიდმთავარს მრავალი ქართველობა დაუხვდა. პარაკლისის შემდეგ წინამძღოლმა თავ. დ. გ. ჩოლოყაშვილმა დიდ მთავრის მეუღლეს ქართველი მანდილოსნები წარუდგინა კნ. ა. ა. ამილახვრისა, კნ. ჭავჭავაძისა კნ. ელ. აბხაზისა და სხვანი.

სიტყვა საქართველოს ექსარხოსის პიტირიმისა.

საქართველოს ექსარხოსმა შემდეგი სიტყვით მიმართა დიდ მთავარს:

„თქვენო იმპერატორებითი უმაღლესობავ! როდესაც უმაგალითო მძიმე განცდის წელს რუსეთის მიწა-წყლის მპრყობელის სურვილის თანახმად, თქვენმა იმპერატორებით უმაღლესობამ თავს იდვეთ ხვედრი უმაღლეს წინამძღოლობისა, ძვირფასი სამშობლოს შეიარაღებულ ძალთა და კურთხეულ არხისტრატიგობით დაგყავდათ მხედრობა რუსეთისა სახელოვან გამარჯვებისადმი, დიდი ხელმწიფის სახელის დასაცავად, და საყვარელ სამშობლოს სადიდებლად—ჯვაროსან საქართველოს ყველა შვილთა გული ერთ მძულე ძარღვი სცემდა ომის ასპარეზზე წასვლის სურვილით. და რა ბედნიერი იყო შემდეგ გმირი საქართველო იმ შეგნებით, რომ მისი მამაც შვილებსაც, იქ, შორეულ დასავლეთზედ, კვლავ შეძლება ჰქონდათ საქმით დაემტკიცებინათ თავისი უსაზღვრო სიყვარული კეთილ მორწმუნე ხელმწიფისადმი, და თავისი ძველი სიყვარული საერთო სამშობლოსადმი, ერთ მორწმუნე რუსეთისადმი. ომ გადახდილი მინდვრები დასავლეთისა და კარპატის მთები, მოწმენი არიან იმისა, რომ საქართველოს შვილებს არ შეურცხვენიათ მამაპაპური ანდერძი ვაჟკაცობისა. ეხლა კი, როდესაც ღვთით მირონცხებულმა თვით იკისრა უმაღლესი წინამძღოლობა მტერზე ამხედრებულ თავის ხალხისა და თქვენ კი მოგიწოდათ დიდ სამუშაოსადმი ღვთის მშობილის წილ ხვდომილ ქვეყანაში, ეხლა მონარხიის ასეთ ახალ და მაღალ განსაკუთრებულ ყურადღებით გაბედნიერებულია ერთგული მეფისა მთელი ჰალარა კავკასია, განურჩევლად ენისა და ტომების. სიხარული კი გაბედნიერებულ საქართველოსი გადაიქცა უსაზღვრო ლხენად ქალაქებშიც და თოვლიან მწვერვალებზე და მთის ხეობებშიც. დე, კურთხეულ იყოს ბედნიერი გული ივერიის კეთილ შვილთა—მისი ბედი ეხლა აზარია სამეფო ოჯახის სახელოვან მოდგმის წევრს.

თქვენო იმპერატორებით უმაღლესობავ! ერთ განცდის წუთს შემოსდგით თქვენ ფეხი ღვთის მშობლის წილხვდომილში. ძაგრამ როგორც ამ წმიდა ტაძრის ას წლოვან თაღების ქვეშ ლოცულობდა ჯვაროსანი საქართველო ჟამს მძიმე ნგრევისას და საკუთარ ბედისა და ლოცვით მიუღია გამარჯვების ძალა, ეგრევე გვწამს, რომ ღვთისმშობელი მიანიჭებს ეხლაც, სრულ გამარჯვებას მტრებზე ერთგულ მონას თვის, კეთილმორწმუნე თვითმპყრობელს ჩვენსას და მამაც მოკავშირეებს ჩვენსას. იგივე გიშველით თქვენს იმპერატორებით უმაღლესობას მის ქვეყნიურ წილხვდომილსთვის მაღალ სამსახურში.

სიონით აკურთხოს ღმერთმა შემოსვლა თქვენი.

სასახლეში.

ნაშუადღევის 5 საათზედ დიდმა მთავარმა ქართველ თავად-აზნაურობის წინამძღოლნი მიიღო.

სიტყვა თავ. დ. გ. ჩოლოყაშვილისა.

თბილისის გუბერნიის მარშალმა თავ. დ. გ. ჩოლოყაშვილმა შემდეგი სიტყვით მიმართა დიდ მთავარს.

„თქვენო იმპერატორებით უმაღლესობავ!

თბილისის გუბერნიის ქართველ თავად-აზნაურობის სახელით ბედნიერი ვართ სალამი უძღვნა თქვენს კავკასიაში მეფის მოადგილედ ჩამობრძანებას საქართველოს დედა ქალაქში. თქვენი იმპერატორებით უმაღლესობის მოწოდება ჩვენი ქვეყნის უმაღლეს მართველად იმ დროს მოხდა, როცა ქართველი ხალხის ძალის მოკრეფამ უმაღლეს წერტილს მიაღწია, ბრძოლის ველზედ, სადაც ისინი თავდადებულად იბრძვიან სახელოვან რუსეთის ლაშქართან, რომელმაც მრავალი საგმირო ფურცელი ჩაწერა დიდ სახელმწიფო მიზნებისთვის მებრძოლ რუსეთის ისტორიაში.

ქართველი ხალხის მონაწილეობა რუსეთის იმპერიის ომებში, რომელიც იმპერატორ პეტრე დიდის დროს დაიწყო, ეხლა ორას წლოვან ისტორიაზედ უფრო ვრცელია.

ერთობა საქართველოსი იმპერიასთან, განამტკიცებელი წინაპარზედ ომისგან, იმპერატრიცა ეკატერინე დიდის და საქართველოს მეფის ირაკლის ნებით, დაბოლავდა საქართველოს რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლით 1783 წლის ტრაქტატით და მას შემდეგ გზა გაერთიანებისა საქართველოსი დიდ იმპერიასთან უფრო ფართოვდებოდა.

ქართველი ხალხი დიდ იმპერიის ნაწილად სთვლის თავს და ას წელზედ მეტია, ყველა ცვლილებათა და განცდათა დროს, რომელიც მათ გადახდიათ, არ შერყევია ის რწმენა რომ სიკეთე მისი მჭიდროთ გადაბმულია სახელმწიფოს სიკეთესთან და რუსეთისთვის წარმოგზავნილ ბრძოლაში საშიშ მტერთან, აშკარაა, ქართველი ხალხი თავის სიკეთისთვის ბრძოლას ხედავს.

აღვსილი ამ შეგნებით, ქართველი თავად-აზნაურობა თბილისის გუბერნიისა, ბედნიერია აღგვქდოს თქვენის იმპერატორობითი უმაღლესობის წინაშე ერთსულოვანი გრძნობა ქვეშევრდომელ სიყვარულისა და ერთგულობისა ჩვენ სადმერთებელ მონარქისადმი.

თქვენი იმპერატორობითი უმაღლესობის უავგუსტოეს პიროვნება რომელმაც მთელი ქვეყნის თვალში სიგმირეს სახელი დაიმსახურა და ეს სახელი გადაება დიდსულოვან ლოზუნგს, რუსეთის ერების თავისუფლებისა და გაერთიანებისას, ქართველი ხალხისთვის თავდებია იმისა, რომ სახელმწიფოს ღმობიერი მოპყრობა მის საჭიროებისადმი უფრო მეტად განამტკიცებს თვითყოფის საფუძველზედ თავისუფლად არჩეულ ერთობას მისას რუსეთის დიდხალხთან და გაუხსნის გზას ახალ წარმატებისათვის.

სიტყვა ქუთაისის გუბერნიის თავ.—აზნ. წინამძღოლის თავ. დ. ო. ნიჟარაძისა

თქვენო იმპერატორებითი უმაღლესობავ! ადვილად გასაგებ მღელვარებით მოელოდა მთელი ეს დღეები ქართველი თავად-აზნაურობა ქუთაისის გუბერნიისა, თქვენი იმპერატორობითი უმაღლესობის ჩამობრძანებას საქართველოს ძველს დედა—ქალაქებში. გასაგებივე აღტაცებით ეგებება თქვენს მობრძანებას მთელი ქართველი ხალხი, რომელიც ხედავს ამაში ნიშანს მონარქის კეთილ განწყობილებისას ამ ქვეყნისადმი და თქვენი პირადი კეთილ მოსურნეობისა მის მცხოვრებლებისადმი. ვიდრე ჩვენი სამშობლოს ცა დასერილია შავის ღრუბლებით, ქართველი ხალხის მთელი ზრახვანი მიმართულია მტერთან ბრძოლაზე. ამ ბრძოლის გულისთვის ჩვენი სამშობლოს შვილები თავდადებულად ღვრიან სისხლს ბრძოლის ველზე მხარ და მხარ ერთ მორწმუნე ძმებთან. ამ ბრძოლის გულისთვის, რომელიც ძალთა გამრავლებას მოითხოვს, დროებით დაიჩრდილენ ყველა მწვავე კითხვები, რომელიც გადაბმულია ივერიის ეკლესიის მოწყობასთან, სკოლასთან, თვითმართველობის და სამშობლო ტერიტორის შენარჩუნებასთან. ჩვენ ვითმენთ ყველა სიმძიმეს თანამედროვე ხანისას, რომელიც გამოწვეულია არა მარტო ომის ამბებით, არამედ სტიქიურ უბედურებისაგან, რომელმაც მთელი ქვეყანა სიმშილსა და უმწეობაში, ჩაავდო.

მაგრამ მალე გაისმება ხმები გამარჯვებულის და მოდღესასწაულე სიმღერისა, გადივლიან ქარიშხლი და უბედურებანი და კეთილი მზე გაათბობს რუსეთის ქვეყანას და მასთან ერთად მრავალ ტანჯულ ჯვაროსან საქართველოს.

თქვენო იმპერატორობითი უმაღლესობავ! ყოველი ქართველის სულში სცოცხლობს უდრეკი რწმენა, რომ რაკი თქვენი იმპერატორებითი უმაღლესობა გაიცნობს სურვილებს და ლტოლვას ქართველის ხალხისას, კეთილ ინებებთ და აირჩევთ იმ გზას საშინაო პოლიტიკისას, რომელიც შეეფერება საფუძვლით სახელმწიფო ინტერესებს და ქართველ ხალხსაც დააკმაყოფილებს.

აღფრთოვანებული იმედებით, რომ თქვენი მმართვა ქვეყნისა საქართველოს მწუხარე ისტორიაში ახალ სიოს შეიტანს დამშვიდებისას და დაკმაყოფილებისას მის ეროვნულ მისწრაფებაში, დასავლეთ საქართველოს თავად-აზნაურობა თავს უკრავს თქვენს იმპერატორებითი უმაღლესობას და მთელის გულით ამბობს:

მშვიდობა მობრძანებასა შენსა!..“

# ახალი ამბავი.

ქუთაისი.

✦ ქუთაისის ქუჩების სახელების დამქრმევ კომისიის თავჯდომარე ი. ფანცხავა სთხოვს ქუთაისის ქალაქის გამგეობას გაათავისუფლონ იგი ამ მოვალეობისაგან.

✦ ქუთაისის საურთიერთო დამზღვევი საზოგადოება უკვე შეუდგა თავისი განყოფილებების გახსნას ქ. ფოთსა და ქ. ოზურგეთში.

✦ 23 სექტემბერს ღამის მატარებელზე შორაპნისა და ზესტაფონის სადგურებს შუა ნახეს პატარა ბავში მამრობითი სქესის, როგორც გამოირკვა, ბავში ვიღაც ორს უცნობ ქალს მატარებლის გამოსვლის დროს „ვაგონში“ შეუდვიათ.

✦ ამ დღეებში სახალხო უნივერსიტეტის სკოლის გამგეობა დაიწყებს მოქმედებას, სკოლაში შემდეგ საგნებს ისწავლიან მსმენელებთ: ქართულ ლიტერატურას, საზოგადო ისტორიას, სამართლის ცოდნას, ბუნების მეტყველობას და პოლიტიკურ ეკონომიას.

✦ ქუთაისის ქალაქის გამგეობა სთხოვს თფილისისა ბაქოსა და ბათომის ქალაქის გამგეობათ შეატყობინონ ამ ჟამათ რა და რა ნიხრი არსებობს სხვადასხვა სანოვაგეზე და ხეტყეზე.

✦ გუშინ ქ. ქუთაისის ბაზარზე 400 ფუთი ოსური ყველი შემოვიდა, გირვანქა 30 კ.

✦ ქალაქის გამგეობის ქვედა სართულში დიდი უსუფთაობა არის. საჭიროა ამას მაინც მიაქციოს ყურადღება ქალ. გამგეობამ.

✦ ქიათურის უმაღლეს პირველ დაწყებით სამოსწავლო ინსპექციას გადაუწყვეტია მოსწავლეებისათვის თვიურათ სწავლის ფულის გადასახადი 5 მ. ამბობენ ეს ფული უკან დაუბრუნდება მოწაფეებს, როდესაც მუშაობა დაიწყება ქიათურაში, და საშუალება ექნება საბჭოს თავისი ხარჯით შეინახოს სასწავლებელი.

✦ ჩვენს რედაქციაში შემოვიდნენ ბალახვანის ქუჩის, აგრეთვე ქუჩაზე მდებარე ლოსაბერიძის შესახვევის და ლადიძის ქარხნის თავდადმართის მცხოვრებლები და გვთხოვენ ვიშუამდგომლოთ, სადაც ჯერ არს, რათა შესწყდეს ყოველნაირი სიბინძურის დაქცევა და ყურადღება მიაქციონ ქუჩების გასუფთავების საქმეს.

✦ მკვლელობა. ს. სალხინო (ქუთაისის მაზრა). 16 სექტემბერს ადგილობრივ მცხოვრებს სარდიონ მ. ლორთქიფანიძეს მოსთხოვეს ფული. როდესაც ბოროტგამზრახველებმა 150 მ. მიიღეს. ამით არ დაკმაყოფილდნენ და დაუწყეს მას და მის ცოლს ქრისტინეს წამება. ბოლოს ორივე ცოლ-ქმარი თოკით მოკლეს ეჭვით შეიპყრეს სერგო მიხეილის ძე ყენია, სიძე უკვე მოკლულთა და მიტროფანე მაქ. ლორთქიფანიძე.

✦ როგორც ს. მანდიკორიდან (ქუთაისის მაზრა) გვწერენ, ორ კლასიან სამინისტრო სკოლას, სამეურნეო განყოფილებით ამ მოკლე ხანში მოათავებენ და მომავალ სამამოსწავლო წელს სწავლასაც დაიწყებენ.

✦ 24 სექტემბერს ბაზრის ზედამხედველმა გლეხვანმა ოქმი შეუდგინა მეფქვილე პავლე დოლაძეს ფქვილის მეტ ფასში გაყიდვისათვის.

✦ ქუთაისის ქალაქის გამგეობის წევრმა ხაზინიდან გამოგზავნილი 19308 მანეთი უკვე დაურიგა სათადარიგო ჯარის კაცთა ოჯახებს.

✦ ჯარის კაცი ტერენტი მოსეს ძე თუთბერიძე მცხოვ. სოფელ წმანში (შორაპნის მაზრაში) მსახურებდა 149 ქვეითა ჩერნოგორიის პოლკის 38 დივიზიაში, 5 როტის მე-4-თხე ზვოდში. მონაწილეობას ღებულობდა გერმანელებთან ბრძოლის დროს. შემდეგ კი უგზო უკვლოთ დაიკარგა. თუ ვინმემ იმის შესახებ იცოდეთ, მაცნობეთ შემდეგი ადრესით: ქიათურის პირველ-დაწყებით უმაღლეს სასწავლებელში ამბროსი სიმონის ძე თუთბერიძეს.

## აჭარლების საქმე.

(გაგრძელება).

სასამართლოს სხდომა იწყება დილის 8 საათზე და 15 წ. (18 სექტემბერს).

ეკითხებიან მოწმე ბანდურიანს, რომელიც ამბობს, რომ ბრალდებულები: ალი, ხუსეინი და იუნუსი ჩეთნიკებთან იყვნენ და მათ იარაღს ატარებდნენ. სომხებმა მათ შესთავაზეს 500 მან. იმ პირობით, რომ მათ ხელი არ ეხლოთ სომხის ქალებისათვის, მაგრამ ბრალდებულებმა ფული არ მიიღეს და ქალები მოითხოვეს.

გარდა ამისა მოწმე ამბობს, რომ ბრალდებულები არდაგანის [illegible]ტაბიეში ჩეთნიკებთან ერთად ებრძოდნენ რუსებს და იქ მათ ერთი ამხანაგიც მოუკლეს. ბრალდებულს უთქვამს მოწმისათვის, რომ ისინი ჩეთნიკების რაზმში არიან და ზაბიტ ბეგის სარდლობით იბრძვიან.

დამცველი ფადავა: ბრალდებულებს სამი თვის განმავლობაში თქვენთვის ხომ არაფერი შეურაცყოფა მოუყენებიათ?

—ჩემთვის არავითარი.

—საიდან ფიქრობთ, რომ ხუსეინი, ალი და იუნუსი ჩეთნიკების რაზმში იყვნენ?

—ისინი იარაღს ატარებდენ. დამცველი მუატი: ყველა სომხები, რომელიც იარაღს ატარებდა, ნუ თუ ყველა დაშნაკცაკანი იყო? მოწმემ ამისი არაფერი იცის. დამცველი ანჯაფარიძე მოწმეთა შეკითხვით არკვევს, რომ მოწმის სოფელ ოქრობაკეთში რუსის მხედრობა ორჯერ იყო და მერე იქ გუბერნატორიც მივიდა..ამის შემდეგ ის ეკითხება მოწმეს, თუ რისთვის დაადგინეს სომხებმა განაჩენი, რომელშიაც მოიხსენეს, რომ ბრალდებულები საიმედონი და კეთილ სინდისიერნი არიან?

მოწმე: იმიტომ, რომ ბრალდებულები იმუქრებოდენ, თუ ასე არ მოიქცევით თქვენს ასულებს—ჩვენ ხასებს წავიყვანთ და წავალთო.

—ეს თუ ასე იყო, როცა, თქვენ სოფლებში რუსის ჯარი შემოვიდა ბევრი ჩეთნიკები დაატყვევა, რატომ მაშინ არ დააჭერინეთ ბრალდებულები, არამედ რამოდენიმე თვის შემდეგ, როცა გუბერნატორი მოვიდა თქვენ სოფელში?

მოწმე სდუმს.

დამცველი მაჭავარიანი: ჩეთნიკებმა სომხების ყველა სოფელი გაანადგურეს, მცხოვრებლები ამოსწყვიტეს, გადარჩა მხოლოდ ოქროსბაკეთი, ჩეთნიკები კი ამ სოფელშიაც ხშირად რჩებოდენ. ეს წყალობა ამას ხომ არ მიეწერება, რომ იქ იყვნენ ბრალდებულები?

მოწმე: ღმერთმა დაგვიფარა. ბრალდებული იუნუსი აცხადებს, რომ მოწმე ბანდურიანმა ხშირად დაიხმარა ის, მაგრამ ახლა თუ მის საწინააღმდეგოთ უჩვენებს, ეს იმიტომ, რომ როცა რუსის ჯარი შემოვიდა ოქროსბაკეთში, მაშინ მან (იუნუსმა) ჯარის უფროს ჯვანიას მოახსენა, რომ მოწმე ბანდურიანს სახლში იარაღი აქვს. აღმოჩნდა და კიდეც ჩამოართვეს. ბრალდებულის შეკითხვაზე იუნუსი უპასუხებს, რომ ის იყო წასული შავშეთში საქონლის საყიდლად, გზაზე დახვდნენ ჩეთნიკები, წაართვეს 100 მან. ის გამოექცა ჩეთნიკებს და ამიტომ მოხვდა ოქროსბაკეთში.

მოწმე კასიანოვი (დარაჯების ურიადნიკი რუსი) აჩვენებს, რომ ის ტყვეთ წაიყვანეს ჩეთნიკებმა, მას გაქცევა უშველა ბრალდებულმა მარჯან დევაძემ, რომელმაც მას ასწავლა სამშვიდობო საცალფეხო გზა და თვითონ მეორე გზით მარჯვენმა მოწმის ცხენი წამოიყვანა. გაქცევაზე მე მეშველებოდა კიდევ მეორე ბრალდებული. ალი კესიანოვი ამბობს, რომ თუ წინასწარ გამოძიების დროს ასე არ მიჩვენებია, იმიტომ, რომ პირადათ მაშინ ბრალდებულები არ მინახავს, ახლა ვხედავ და ვცნობ კიდეც, რომ მაგათ მიშველეს—ვასწორებ მაშინდელ ჩემს შეცდომას.

მოწმე მეხტერბაშევი ზემო აჭარის ოლქის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი, ამბობს, რომ, როცა რუსებმა დატოვეს სოფელი, რუსის ჯარის გამოსვლამდის ადგილობრივი მცხოვრებნი ევედრებოდენ მას და თხოვდენ ნუ დაგვტოვებთო, ამასთანავე პირდებოდენ რუსის მთავრობას მოგაშველებთ ახალგაზდა აჭარლებსო.

მოწმე ოგანესიანცი ადასტურებს სხვა მოწმეთა ჩვენებას და ამბობს, რომ ხუსეინი, ალი და იუნუსი სახაროსთან იბრძოდენ რუსის წინააღმდეგ.

ბრალდებულები აცხადებდენ, რომ მოწმე სტყუა, მას არ შეეძლო ჩვენი თვალყურის გდება, რადგან ის ემალებოდა ოსმალეთის ჯარს და ქალის იუბკით მოვიდა ს. ოქროსბაკეთში. მოწმემ მოკლა ოსმალეთის დარაჯი და იმიტომ გაურბოდა და ემალებოდა ოსმალოთაგან შურის ძიებას. დიდ აჭარის მამასახლისმა სირაძემ აჩვენა, რომ მან სხვისგან გაიგონა იუნუსი ჩეთნიკებს მიემხროო—თვითონ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაფერი იცის. მე მქონდა იმ პირთა სია შედგენილი, ვინც ჩვენს საზოგადოებას აკლდა, იუნუსიც დაკლებულთა რიცხვში იყო. „ზ. დ."

(შემდეგი იქნება)

# საამხანაგო ბანკი.

## რაჭველ—მეპურეთათვის.

ჩვენს ხალხს, რომ თან და თან გამოფხიზლება დაეტყო ამის ნიშნებს აშკარათ ვხედავთ.

ამ დღეებში თფილისში რაჭველ მეპურეთა მესვეურობით საძირკველი ჩაეყარა შემნახველ გამსესხებელ საამხანაგო ბანკს.

მეპურეთა თხოვნით, 17 სექტემბერს, მოწვეულ იქნა თფილისის გუბერნიის საამხანაგო ბანკების ინსპექტორი ბ. ჩხეიძე, რომელმაც დამსწრეთ გააცნო წესდების შინაარსი და ვრცლათ განუმარტა საერთოთ ბანკების მნიშვნელობა ეკონომიურ ცხოვრებაში. ყველა აღფრთოვნებით მიეგება ასეთ სიმპატიურ საქმეს. დაუზარებლივ გადასწყვიტეს შეეტანათ საწევრო გადასახადი—თითო თუმანი.

იქვე ფარული კენჭის ყრით აირჩიეს სამი კაცისაგან შემდგარი გამგეობა და სარევიზიო კომისია; დაიქირავეს ბინა ბანკისათვის; გადასდვეს თანხა კასის თუ სხვა რამე საკანცელარიო ნივთებისათვის და დაადგინეს სესხი გაცემა ორი შაურის სარგებლით. კრება ოქმზე ყველას ხელის მოწერით დასრულდა. ამხანაგობამ ათი ათასიანი თანხით უკვე დაიწყო მოქმედება. წევრების რიცხვი დღითი დღე მატულობს და მალე, იმედია ერთად თავს მოუყრის მთელ ქართველ ხელოსანთა ჯგუფს. ამხანაგობას აზრათ აქვს, ახლო მომავალში, მოაწყოს თფილისში შეშის დიდი საწყობი და ხელი შეუწყოს, ახლად დაარსებულ მეღვინეობის საზოგადოებას, „ალექსანდრეულს", რომელიც იმედია საუკეთესო ალაგს დაიჭერს მომავალში.

მადლობის ღირსია ბ. გრიგოლ დიასამიძე, რომლის მეოხებით დაარსდა, მისვე შენობებში, ხსენებული საზოგადოებები და რომელიც, სრულიად უსასყიდლოთ, მხურვალე ხელმძღვანელობას უწევს მათ.

ვუსურვებ აღნიშნულ ამხანაგობას სრულ კეთილ წარმატებას და მის მესვეურთ ენერგიულ, ხალხის სასარგებლო მუშაობას.

იოლა.

# მასწავლებლის დღიური.

განათლებამ ფრთა გაშალა. მისმა ძლევამოსილმა სხივებმა მიყრუებულ სოფლებშიც კი შემოაშუქა... ამ ცხოველმყოფელ სხივებს საზოგადოებაც დიდის ალტაცებით ეგებება... საჭიროა დაუღალავი შრომა და ენერგია .. საჭიროა მეთაური ყველა სოფლებში. მაგრამ ვინ უნდა იკისროს ეს მეთაურობა? რასაკვირველია, როგორც ზოგიერთი გვეუბნება, სოფლის მღვდლებმა და სახალხო მასწავლებლებმა ვინ არიან ესენი? რა აქვთ მათ ურთი-ერთ შორის საერთო? არაფერი! პირველი განცხრომას მისცემია მეორეს კუჭი ეწვის შიმშილით და დღიური ლუკმას დაეძებს. პირველს ნაკლებათ აინტერესებს ქვეყნის ბედ-იღბალი მეორე კი მიისწრაფის საზოგადოების საკეთილდღეოთ შეძლებისა და გვარად. პირველი დრო მოჭმულ ტრადიციებითაა გამსჭვალული, მეორეს თუმცა ესმის ხალხის კვნესა და ხელს უწოდებს მას დასახმარებლათ, მაგრამ ვერ შეძლებს დახმარებას და ძირს ეცემა... მშიერია!!..

დიახ! ეს ასეა! მაშ რატომ გვესაყვედურებიან თანამედროვე ცხოვრების ზერელე მეთვალყურენი? რატომ გვიკარნახებენ და იძლევიან დირექტივებს:

სახალხო მასწავლებელმა და მღვდელმა ესა და ეს უნდა გააკეთოთ, საზოგადოებას გვერდში უნდა ამოუდგეთო? სამღვდელოების შესახებ მე აქარას ვიტყვი. მკითხველ საზოგადოებისთვის მიმინდვია იმის გამცნობა, თუ რამდენათ შეუძლიათ ან რამდენათ ხელს უწყობს ამა თუ იმ მღვდელს მისი მდგომარეობა ხალხის საკეთილდღეოთ ისე იზრუნოს.

რაც შეეხება მასწავლებლებს, უნდა ვსთქვათ, რომ 10 პრატ. მაინც მოუმზადებელი იქნება მათ შორის. დანარჩენნი იმდენათ განვითარებული არიან, რომ შეუძლიათ ხალხის საკეთილდღეოთ იზრუნონ სოფლათ. მაგრამ ამის შესასრულებლათ მათ ხელს უშლის ნივთიერი ხელმოკლეობა.

შეიძლება, ზოგიერთმა მკითხველმა კიდეც დაგვცინოს და გვითხრას: „ეს კუჭის საკითხია," მაგრამ, ნურას უკაცრავათ, თუ თამამათ ვიტყვით,—რომ თანამედროვე საზოგადოება, როგორც ყოველთვის, კუჭისთვის იბრძვის. ყველა თავის ცხოვრებას დაუკვირდეს, გულში ჩაიხედოს და ისე სთქვას: განა მშიერი ადამიანი სასარგებლო რასმე გააკეთებს?! განა მშიერ ადამიანს შესწევს იმდენი ენერგია, ვისმეს სასარგებლოთ იმოღვაწოს?!

ქალაქის მუშის ცხოვრება და მასწავლებლის ცხოვრება რომ ერთმანეთს შევადაროთ, დიდ განსხვავებას ვნახავთ: ქალაქის მუშა დღეში მანეთ ნახევარს, რვა აბაზს მაინც დაიმუშავებს, თუ მეტს არა, სოფლის მასწავლებელი კი წლობით ოთხი აბაზის ანაბარა არის. ეს არის მისი ავლა დიდება, ამით უნდა დაიკმაყოფილოს თავისი ოჯახის აურაცხელი მოთხოვნილება.

მასწავლებელი დაშორებულია თავის კერას, ის სადღაც სოფლის ბნელ კუთხეშია მიგდებული თავისი ცოლ-შვილით, და „სცხოვრობს" იქ ღვთისა და დღიური ამ ოთხი აბაზის იმედით... ვინ არის მისი ბედის გამკითხავი? ან ვინ იტყვის იმას, თუ როგორ ცხოვრობს მასწავლებელი 80 კ. მიუხედავათ ამისა ზოგიერთი კორესპონდენტი მაინც უკიჟინებს მასწავლებელს უმოქმედობას და მუდამ იმას გვიჩიჩინებენ, რომ მასწავლებლები საქმეს არ აკეთებენ, დახშულ ოთახში სძინავთო და სხვა... საზოგადოებამ ძალიან კარგად იცის, რომ 80 კ. თანამედროვე ცხოვრების პირობებში სახ. მასწავლებელს ცოლ-შვილის გამოკვება, თავის თავის რჩენა და საზოგადოებაში მუშაობა არ შეუძლია!..

და თუ გვინდა რომ სოფელი წინ წავწიოთ, თუ გვინდა რომ განათლების სხივებით გავაშუქოთ ბნელით მოცული სოფლის მდგომარეობის ყოველი კუნჭული, თუ გვინდა, რომ მივსცეთ ჩვენს სამშობლოს საღი რწმენის და გონების პატრონი მოზარდი თაობა და მივცეთ მასწავლებელთა მოღვაწეობას ფართო, საზოგადოებრივი ხასიათი, მაშინ საჭიროა და აუცილებელიცაა მასწავლებელთა მდგომარეობის ეკონომიური გაუმჯობესობა.

ალე.

# წერილი რაჭიდან.

(პასუხი ბ. კ. წულუკიძეს).

გაზეთ „სამშობლო„-ს მე 173 ნომერში დასტამბულია წერილი ბ. კ. წულუკიძისა. როგორც ბ. კ. წულუკიძის წერილიდან სჩანს წესის სადგურის მოიჯარადრე ფრუიძე უდიერათ მოქცევია მას, და ზედმეტი გროშებიც გადუხდევინებია, ამისათვის იგი უსაყვედურებს ბ. წესის ფოშტის უფროსს ამ სიტყვებით: საკვირველია ისიც რომ დაუსჯელათ რჩება მისი საქციელი, მაშინ როდესაც იქავე მისი სადგურის წინ არსებობს წესის ფოშტა ტელეგრაფის განყოფილება, რომლის უფროსმაც ძლიერ კარგათ იცის ფრუიძის ოინები, მიუხედავათ ამის, რომ მას,—უფროსს—თვით სამსახური ავალებს ყურადღება მიაქციოს ფოშტის სადგურის მოიჯარადრის საქციელს. როგორც მისი ხელ ქვეითისას, არავითარ ყურადღებას არ აქცევს და მით საშუალებას აძლევს მადა გახსნილ ხელქვეითს თავის ნებაზე ყვლიფოს შარა გზაზე მიმომსვლელი. ჩემის ფიქრით, ბ. ფოშტა ტელეგრაფის განყოფილების უფროსის ასეთი საქციელი აიხსნება იმით, რომ მას არ აძლევს ანგარიშს მოიმდუროს თავისი მეგობარი თანამოსამსახურე. (იგულისხმეთ ფრუიძე) აი ასეთი სიტყვებით ნათლავს ბ. წულუკიძე იმ კაცს, რომლის ქება და დიდებაც გაისმის მთელ ქვემო რაჭაში. პოეტი დავით გურამიშვილი ამბობს: „ავს თუ ავი არ ვუწოდოთ, მაშ აბა კარგს რა დავარქვათ". ჩემს თავს მოვალეთ ვრაცხ მკითხველი საზოგადოება შეცდომაში არ შევიყვანოთ და იმ კაცს, რომელსაც სიკეთის მეტი არაფერი დაუთესია ხალხში, ავი თუ არ არის, ავათ არ მოვიხსენიოთ არც ჩვენ და არც სხვამ.

ყურადღებას არ აქცევსო, მეგობარი არის მოიჯარადრესიო, ბრძანებს ბ. კ. წულუკიძე ჩვენ თვითონ კარგათ ვიცით, წასულ წელს ერთმა მანდილოსანმა უჩივლა წესის ფოშტის უფროსთან მოიჯარადრეს ფრუიძეს. „ტროიკას" არ მაძლევს როდესაც კანონით მეკუთვნისო, ასეთ უკანონო მოქმედებაზე ფოშტის უფროსმა დაიბარა მაშინდელი სადგურის მმართველი კ. მიქაბერიძე იგი სასტიკათ დატუქსა უკანონო მოქმედებისათვის. მიქაბერიძემ ფოშტის უფროსს უჩივლა ოლქის ფოშტა ტელეგრაფის უფროსთან. ატყდა ერთი აურ ზაური საქმე დაბოლოვდა მით რომ მიქაბერიძე დაითხოვეს. თვითონ ჩემი თვალით ვუცქერ როგორ მკაცრათ ეკიდება ბ. ფოშტის უფროსი მოიჯარადრე ფრუიძეს. ფრუიძემ შემომჩივლა სწორეთ ამ ფოშტის უფროსს არ უნდა ჩვენი აქ ყოფნა ნახევარ ფასში გავყიდი საქონელს რომ მუშტარი ვინმე იყოსო, ველარ გადვურჩით ყოველ დღეს მაგის ჩხუბსო. ამ ჩემს სიტყვებს დაამოწმებს ყველანი ამ საქმესთან ახლოს მყოფნი. უკეთესი იქნება და ბ. კ. წულუკიძეს ვისმესთვის ეკითხოს ფოშტის უფროსის სიავკარგე და ისე დაწეროს გაზეთში, თორემ ერთი კალმის მოსმით ასეთი პატიოსანი კაცის გალანძღვა არ არის საკადრისი. ყველას ახსოვს მისი წინამოადგილე ნანობოვი, როგორი კაციც იყო, მას არ ჰყოლია ერთი კაცი მადრიელი, ბოლოს მთელმა ხალხმა უჩივლა და კიდევაც ყველას უმადური წავიდა აქედან. კაი კაცს სახელი ტყუილით არ უნდა გავუტეხოთ, თუ არ ვაქებთ გინებას მაინც რადას ვერჩით.

ბ. კ. წულუკიძე მეც მისაყვედურებს რატომ ყურადღებას არ აქცევს ფრუიძეთა უკანონობასო. შეიძლება არ წაუკითხავს მას წასულ წლებში ჩემი წერილები დასტამბული გაზეთებში, მარტვა ფრუიძებზე კი არა მთელ რაჭა-ლეჩხუმის გზათა მოიჯარადრეთა საქციელზე, მაშინდელი ღაღადისი დარჩა ხმათ მღაღადებელთა უდაბნოსა შინა. მახსოვს ეს გზა აღებული ჰქონდა ტომით მალაკანს იმათაც ასე უჩიოდენ, ახლა აქაურების ხელშია იმათაც უჩივიან. თქვე მამაცხონებულის შვილო ფრუიძეთა უკაანონობაზე ღაღადებთ და ის კი გავიწყდებათ თქვენს თვალის წინ უფრო უსამართლოება მოხდა ორჯერ-სამჯერ. გაიხსენეთ ფ. კედიასის ს. ი. მდივნიშვილის საქმე. ყოვლად პატიოსანი ადამიანი მდივნიშვილი რამდენჯერ გალანძღეს და თქვენ აი ერთი კრინტიც არ დასძარით, როგორც თქვენ, ისე მთლათ ონის ინტელიგენციის. ვედებათ ბრალი იმ საქმეში, რომ ვერ აღნიშნეთ სიმართლე გაზეთების ფურცლებზე. ამაზეა ნათქვამი: სხვის თვალში ბეწვის დანახვა...

განო ჭიჭინაძე.

# ღია წერილი,

## ლევან უეფიანს.

„ქუთაისსკია ვესტის" №40 თქვენ მომართეთ ღია წერილით და წარმომიდგინეთ ულტიმატუმი: ორი დღის განმავლობაში, მომეცა თქვენთვის პირადი პასუხი შესახებ იმ ინციდენტისა, რომელიც „ვითომ" მოხდა ქალაქის თეატრში ბ. გ. ტაბიძის მიერ გამართულ საღამოზე, 20 ამს თვეს. (და არა ვ. ლორთქიფანიძის საღამოზე, როგორც თქვენ ბრძანებთ).

ამის შესახებ უნდა მოგახსენოთ შემდეგი: მე ჩემს მეგობარ-თანამოაზრესთან ერთად ვბაასობდი და, სხვათა შორის, დავიწყეთ ლაპარაკი იმ „რუსულ" პრესაზე, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, იმ ეგრეთ წოდებულ „ჟარგონიულ" გაზეთებზე, რომლებიც მრავლად იბეჭდებიან ჩვენ კურთხეულ ქვეყანაში სხვა და სხვა მიზნით.

საღამოს გათავების შემდეგ თეატრის კარებთან გამაჩერა ვიღაც რეპორტიორმა, როგორც უწოდა თვითონ თავის თავს, და მითხრა: თქვენ მე შეურაცმყავითო. მე უპასუხე რომ თქვენ პირადად არა მყოლიხართ სახეში, რადგანაც არც კი გიცნობთ და მეორეც თქვენ ყური არ გიგდიათ, ჩვენი ბაასისათვის და ამიტომ შეიძლება რამე სწორეთ ვერ გაგიგიათ-მეთქი.

ვიმეორებ იმ საღამოს, რომელიც თქვენ აგრეგაინტერესებთ, ვლაპარაკობდი, მხოლოდ ჟარგონიულ პრესაზე და პირადათ არც თქვენთვის და არც თქვენი ამხანაგებისათვის არავითარი შეურაცყოფა არ მიმიყენებია.

მიხეილ ლობჟანიძე.

24 სექტემბერი 1915 წ. ქ. ქუთაისი.

---

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება დამრთოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში მადლობა გამოუცხადო სათავად-აზნაურო გიმნაზიის მასწავლებლებს: ა. ა. გარსევანიშვილს და ლ. პ. კარაკოზიანს, რომელთაც შეადგინეს ორკესტრი და იშრომეს ჩემი ლექციის მუსიკალური ნაწილის წესიერად მოწყობისათვის.

თქვენი პატივის მცემელი კ. დოდაშვილი.

რედ.-გამომც. ი. თ ციციაძე.

ექიმი ზ. დ. ნასარიძე შინაგანი, ნერვებისა და ბავშების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. ლორთქიფანიძის სახლი. თვ.

ექიმი ი. ჩარექიშვილი ქალაქ. საავადმყოფოს ორდინატორი, განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევანოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. თვ.

გაბრიელ იოსების ძე
ექიმი გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.
შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ.
ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი. თ.

ბებია მ. მ. კოხრეიძე
უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.
ლექსანდროვის ქუჩა სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

მასაჟით სამკურნალო კაბინეტი
მარ. ბალანჩივაძისა.
ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე ნამდვილათ ვარჩენ თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთ ქიფანიძის სახლი. თ

ქ. ქუთაისში ექიმი ჟენევის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა
სერაფიონ მ. დადუნაშვილი
ლებულობს შინაგან და სამშობიარო ავათმყოფობით სნეულებს დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—6 საათ.
ქარვასლის ქუჩა (კლასიკურ გიმნაზიის პირდაპირ) ადანაიას სახლები. თვ.

ევროპიული ტანსაცმელების მაღაზია
ალექსანდრე ი. კოსტავასი.
თფილისის ქუჩაზე, ქალაქის აფთიაქთან.
ახლათ მიღებულია: საზამთრო და საშემოდგომო პალტოები, კოსტიუმები, აგრეთვე საწვიმარი მოსასხურავები და სხვა მრავალგვარი შეკერილი ტანთსაცმელები. აქვე იშოვება არშინობით—რუსული და საზღვარგარეული ყოველგვარი მატერიები.
რიგიან ფასებში, რადგანაც მუშა ხელი შემცირებულია.

ქ. ქუთაისი.
ექიმი ქალი ჟენევის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა
ლ. ა. კეტლერი-დადუნაშვილისა
ღებულობს შინაგან და ქალთა ავათმყოფობით სნეულებს დილის 9—12 საათ. და საღ. 5—6 ს.
ქარვასლის ქუჩა, (კლასიკურ გიმნაზიის პირდაპირ) ადანაიას სახლები.
თვ. 975

მ. დუნდუას ქალთა სასწავლებელი მდგომარე 1915 წ. ენკენისთვიდან გადაკეთდა საშუალო კერძო პროფესიონალურ სასწავლებლათ, ოთხკლასიან პროგიმნაზიის კურსით. სასწავლებელში სრულიად მოუმზადებელი ბავშებიც მიიღებიან. თავისუფალი ადგილი ყველა კლასშია. სწავლის ფასი ჩვეულებრივ: საანბანოსა და სხვა განყოფილებებში 20 მანეთი, ხოლო პროგიმნაზიულ კლასებში 25 მანეთი.
მოლაპარაკება დილის 9—2 საათამდი შეიძლება.
მისამართი: ბალახვანის ქუჩა, იოსებ ბაქრაძის სახლებში. თვ.

გამოვიდა და იყიდება ყველა მაღაზიაში
მთავრიშვილის წიგნის მაღაზიის გამოცემა ქართული ქრისტომატია:
„ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია",
შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. ფასი 6 აბაზი.

იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა
გასასყიდათ თომა მთავრიშვილის წიგნის მაღაზიის ახალი გამოცემა
სამსონ დათეშიძის ქართული ქარგანისადა სამხატვრო ნიმუშებისა.

ვაცხადებ ქუთაისის საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ამა 1915 წლის 20 აგვისტოდან, ვორონცოვის ქუჩაზე, ჩემი სავაჭროს პირდაპირ გაიხსნა
დიდი იაფი ვაჭრობა
ფეხსაცმელებისა და საგალანტერიო საქონლისა.
რომლის ფასები 50%-დან 75%-დე დაკლებულია.
თვ. პატივისცემით ლ. მ. ბახტაძე.

თ. მთავრიშვილის და ამხ.
წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიას ამა 1915/16 სასწავლო წლ. დამზადებული აქვს ყოველნაირი
ქართული და რუსული სახელმძღვანელო წიგნები,
გეოგრაფიული ატლასები და კარტები და აგრეთვე საკანცელარიო ნივთები: რვეულები, კალმები, კარანდაშები, კალმის ტარები, საწერი და ფოშტის ქაღალდი და სხვა მრავალი საჭირო საკანცელარიო ნივთები. აქვე იყიდება საყმაწვილო და სახალხო წიგნები, ყველა ახალი ქართული და რუსული ლიტერატურული ნაწარმოები და სხვ.
თვ.

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში
(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)
მიღებულია დიდძალი
საპნის მსაკეთებელი „სოდა"
აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.